ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6260333

ნომერი: AR1938655

თარიღი : 08.12.2022

გაცემის თარიღი : 22.12.2022

გაცნობის თარიღი : 22.12.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

null;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ზანდარაშვილი პ/ნ 01030004510
- თბილისი რეხის III ქ. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 08 დეკემბერს №AR1938655 განცხადებით მომართა თამაზ ზანდარაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანებით, დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო, 2022 წლის 06 ნოემბერს №AR1932644 განცხადება დარჩა განუხილველი.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელს სურს ცვლილება შევიდეს სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანებაში. კერძოდ, განმარტავს, რომ მიიღო ცარიელი ფურცელი და სამსახურის პასუხში არ ფიქსირდება ტექსტური ნაწილი. შესაბამისად, ითხოვს, სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანების სატიტულო ინფორმაციის შედეგის ველში „განუხილველი“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს „შუალედური“.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2022 წლის 06 ნოემბრის №AR1932644 განცხადებით მოთხოვნილ იქნა რკინიგზის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6201732 და 2022 წლის 01 დეკემბრის №6229762 ბრძანებებით დადგენილ იქნა გარკვეული სახის ხარვეზები, რომლის გამოსწორებისთვის განმცხადებელს განესაზღვრა შესაბამისი ვადა. სამსახურის 2022 წლის 01 დეკემბრის №6229762 ბრძანებით დადგენილი ხარვეზის შემდგომ (რომელსაც განმცხადებელი გაეცნო იმავე დღეს - 2022 წლის 01 დეკემბერს) განმცხადებელმა №AR1932644 განცხადება შემოაბრუნა 2022 წლის 01 დეკემბერს. ვინაიდან, განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული დადგენილი ხარვეზი, სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანებით 2022 წლის 06 ნოემბრის №AR1932644 განცხადება განუხილველი დარჩა. ამასთან, სამსახური განმარტავს, რომ სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6201732 და 2022 წლის 01 დეკემბრის №6229762 ბრძანებებში, ასევე, 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანებაში სრულად ფიქსირდება ტექსტური ნაწილი.
აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მიერ წინამდებარე განცხადებაზე "ფაილის მიმაგრების“ ველში წარმოდგენილ იქნა მიერ ხელმოწერილი განცხადება და აღნიშნული არ წარმოადგენს სამსახურის მიერ 2022 წლის 06 ნოემბრის №AR1932644 განცხადებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც აღინიშნა სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანებით განუხილველი დარჩა 2022 წლის 06 ნოემბრის №AR1932644 განცხადება ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო. ამასთან, დგინდება, რომ სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6201732 და 2022 წლის 01 დეკემბრის №6229762 ბრძანებები, ასევე, 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანება მოიცავს შესაბამის ტექსტურ ნაწილს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს სამსახურის 2022 წლის 07 დეკემბრის №6232166 ბრძანებაში არც ცვლილების შეტანის და არც ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.